საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 0-15

ქ. თბილისი "06" 01 2011წ.

შ.პ.ს „შ.პ.ს თბილისის №3 ტუბ დისპანსერი"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „კ" ქვეპუნქტის და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შ.პ.ს „შ.პ.ს თბილისის №3 ტუბ დისპანსერი"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია მაიონებელი გამოსხივების იმ მაგენერირებელი მოწყობილობების სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის, რომლებიც არ შეიცავს რადიოაქტიურ წყაროებს ან/და ბირთვულ მასალებს.
2. დაევალოს სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს გასცეს ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისი სალიცენზიო მოწმობა.
3. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შ.პ.ს „შ.პ.ს თბილისის №3 ტუბ დისპანსერი"-ს.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შ.პ.ს „შ.პ.ს თბილისის №3 ტუბ დისპანსერი"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი შ.პ.ს „შ.პ.ს თბილისის №3 ტუბ დისპანსერი"-ს განცხადება.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურს შ.პ.ს „შ.პ.ს თბილისის №3 ტუბ დისპანსერი"-ს.